პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 190 (5220)
1974 წ. 25 სექტემბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს ჩემპიონები მ. ალიაკრინსკაია (თბილისი, „ბურევესტნიკი") და ვ. ჩუკანოვი (თბილისი, „სპარტაკი") ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## ახლა ლუჟნიკში

ვანკუვერი, 24 სექტემბერი. ჰოკეის ბოლო წამებამდე თამაშობენ. ორი წლის წინათ ეს ჭეშმარიტება საბჭოთა სპორტსმენებმა დაივიწყეს, რაც ძვირად დაუჯდათ. ორშაბათს ვანკუვერის 18-ათასიან „კოლიზეუმში" მასპინძლები — კანადის გუნდის ჰოკეისტები ბოლო წუთებზე, როცა ორი შაიბის უპირატესობა ჰქონდათ, მოეშვნენ და საბოლოო ჯამში სტუმრებს საშუალება მისცეს ფრედ დაემთავრებინათ დაძაბული შეხვედრა — 5:5 (2:5, 1:0, 2:0).

ამრიგად, ოთხ შეხვედრაში, რომლებიც ჰოკეის სამშობლოში გაიმართა, მეტოქეებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო ორი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. ერთნაირი გამოდგა გატანილი და მიღებული შაიბების სხვაობაც — 17:17. საბჭოთა ჰოკეისტთაგან გოლები გაიტანეს: იაკუშევმა — 4, პეტროვმა, მიხაილოვმა და მალცევმა — 2-2, ლუტჩენკომ, ხარლამოვმა, ბოდუნოვმა, ლებედევმა, შადრინმა, ვასილიევმა და გუსევმა. კანადელთაგან ექვსი შაიბა ჰალის ანგარიშზეა. ორ-ორი შაიბა გაიტანეს ჰენდერსონმა და მაკგრეგორმა...

მეოთხე მატჩი მიმდინარეობდა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. მთელ ხუთ საათს მოფრინავენ აქეთ ტორონტოდან ან მონრეალიდან ყველაზე თანამედროვე ავიალაინერები:

— არ შეიძლებოდა დასკვნითი მატჩი სადმე აღმოსავლეთ სანაპიროსთან უფრო ახლოს გვეთამაშა? — ვკითხეთ გორდი ჰოუს.

— რასაკვირველია, შეიძლებოდა, — გვიპასუხა მან. — ყველა ბილეთი საბჭოთა კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების ოთხივე შეხვედრაზე ტორონტოსა ან მონრეალში მყისვე გაიყიდებოდა, მაგრამ მაშინ სხვა ქალაქების გულშემატკივრები ძალიან განაწყენებული დარჩებოდნენ. ამას გარდა, კანადის გუნდი ევროპაში გაფრინდება წყნარი ოკეანის სანაპიროდან, ჩრდილოეთ პოლუსის გავლით. ამაღამ ჩვენ უკვე ჰელსინკში ვიქნებით, სადაც 27 სექტემბერს ფინეთის ნაკრებს შევხვდებით, შემდეგ 29-ში, გიოტებორგში გვექნება მატჩი „ტრე კრუნურთან". 30-ში კი, იმედია ერთმანეთს მოსკოვში შევხვდებით, ლენინის სახელობის სახელგანთქმულ სტადიონზე თამაშების წინ.

ვანკუვერში ორთაბრძოლის წინ ვნებათა ღელვამ ზენიტს მიაღწია. „კანადის ნაკრებს გადამწყვეტი გამოცდა მოელის", „მეოთხე თამაში „სერიაში" გადამწყვეტი იქნება", — გაფრთხილება იძლეოდა დიდი ანშლაგებით აჭრელებული გაზეთი „პროვინსი".

„რასაკვირველია, ვანკუვერის მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, — ჟურნალისტებს თავის ფიქრებს უზიარებდა ბილ ჰარისი, — აქ თუ ბედმა გვიმუხთლა, „კანადა-72-ის" მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და აუცილებელი იქნება კიდევ ერთი სასწაული, რომ მოსკოვში საერთო წარმატებას მივაღწიოთ".

ვანკუვერში საბჭოთა ჰოკეისტებს გულთბილად, სტუმართმოყვრულად შეხვდნენ.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჰოკეისტებს საერთოდ თბილად ღებულობდნენ კანადაში და ადგილობრივი გაზეთების უმრავლესობა ხოტბას ასხამდა მათს თამაშს. მაგრამ სამწუხარო გამონაკლისიც იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი" გაზეთმა „ტორონტო სანმა". მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჰოკეისტებმა მესამე თამაში მოუგეს კანადელებს ანგარიშით 8:5, ეს გაზეთი გამოვიდა ცილისმწამებლური, არსებითად ანტისაბჭოური წერილით და კანადელთა წაგების ახსნას ცდილობდა ყველაფრით, თვით სპორტსმენთა თამაშის გარდა. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ კანადის გუნდის ხელმძღვანელობას ბრალი დადო იმაში, რომ ისინი „ძალიან გულითადად" ხვდებიან საბჭოთა ჰოკეისტებს" და „ზედმეტს უთმობენ რუსებს". თუმცა, ამავე დროს, გაზეთს არ დაუზუსტებია, რას უთმობენ გა-

(დასასრული მე-4 გვ.)

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## კარპოვი — კორჩნოი 1:0 (3 ყაიმი)

მოსკოვი, 24 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სპეციალისტების აზრით, მატჩის IV პარტიის გადადებულ პოზიციაში კორჩნოის მოგების შანსი ჰქონდა. ამიტომ ყველა გაოცდა, როცა დაფაზე მისი ჩაწერილი 42-ე სვლა გაკეთდა. ამ უცნაურ გაგრძელებას არავინ მოელოდა, მით უმეტეს, რომ პარტიის გადადებისას ჩასაწერ სვლაზე კორჩნოიმ 26 წუთი იფიქრა. როგორც ჩანს, მან იჩქარა ლაზიერის ფრთაზე პაიკთა მდგომარეობის გარკვევაში.

კარპოვმა მყისვე ისარგებლა სულის მოთქმის შესაძლებლობით. მან დაცვის ზუსტი მანევრით სერიოზული კონტრთამაშის შანსი მიიღო. სამი სვლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.

V პარტია 25 სექტემბერს გაიმართება.

გთავაზობთ IV პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

**ფრანგული დაცვა**

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. dc კ:c5 8. 0—0 მge7 9. მb3 კd6 10. c3 კg4 11. მbd4 0—0 12. კe2 ეe8 13. ეe1 a6 14. კg5 h6 15. კh4 ლb6 16. ლb3 კc5 17. ლ:b6 კ:b6 18. კd3 მფf8 19. a3 მ:d4 20. მ:d4 კ:d4 21. cd მf5 22. f3 მ:h4 23. fg მg6 24. g3 მe7 25. კf1 მc6 26. კg2 ე:e1+ 27. ე:e1 ეd8 28. მფf2 ეd6 29. ეd1 მფe7 30. b4 ეd8 31. მფe3 მფd6 32. ეf1 f6 33. ეc1 ეc8 34. ეc5 მe7 35. კf1 ეe8 36. მფd2 f5 37. კe2 fg 38. კ:g4 ეf8 39. ეc2 g6 40. მფe3 h5 41. კh3 მc6 42. ეd2 b5 (ჩაწერილი სვლა) 43. კg2 a5 44. h4 ab 45. ab ეe8+, ყაიმი.

## გამარჯვება ქარსელაძის ნამოწაფარმა

სოხუმი, 24 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის III მემორიალი.

I ადგილი დაიკავა ოსტატმა ი. ჩიქოვანმა (თბილისი) — 9 ქულა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო: ჩიქოვანი ბავშვობაში გამოჩენილი მწვრთნელის მოწაფე იყო.

II-IV ადგილები გაიყვეს სოხუმელმა ოსტატმა ა. ტუზოვსკიმ და თბილისელმა ოსტატობის კანდიდატებმა ზ. მიქაძემ და გ. ზაიჩიკმა — 8,5-8,5 ქულა. ორივე მოჭადრაკემ შეასრულა სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად დაწესებული ნორმატივი.

შემდეგ ადგილებზე არიან: მ. მუხინი, ბ. კატალიმოვი (ორივე — ალმა-ათა), მ. ცეიტლინი (მოსკოვი) 8-8, ე. ბუხმანი (ლენინგრადი) — 7, ა. ვოორემაა (ტალინი), ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა) — 5-5, ჯ. ბერაძე (წყალტუბო) — 4,5, ა. ბოკუჩავა, დ. ჯანოევი (ორივე — თბილისი) — 4-4, ს. როზენბერგი (მოსკოვი) — 3.

გთავაზობთ X ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისა და ბოლო სამი (XI, XII, XIII) ტურის შედეგებს:

გადადებული პარტიების დამთავრება. ზაიჩიკმა მოუგო ბერაძეს და როზენბერგს, დაუზავდა ცეიტლინსა და კატალიმოვს. ცეიტლინი ყაიმზე შეუთანხმდა ბუხმანსა და მიქაძეს, მუხინი — ჯანოევს. ჩიქოვანმა დაამარცხა ვოორემაა და ვლადიმიროვი.

XI ტური. ბოკუჩავა — ზაიჩიკი 0:1, ვლადიმიროვი — მიქაძე 0:1, კატალიმოვი — ბუხმანი 0:1, ცეიტლინი — მუხინი 0,5:0,5, როზენბერგი — ვოორემაა 0:1, ბერაძე — ტუზოვსკი 0:1, ჯანოევი — ჩიქოვანი 0:1.

XII ტური. ზაიჩიკი — ვლადიმიროვი 1:0, ბუხმანი — ბოკუჩავა 0,5:0,5, მუხინი — კატალიმოვი 0:1, ვოორემაა — ცეიტლინი 0,5:0,5, ტუზოვსკი — როზენბერგი 1:0, ჯანოევი — ბერაძე 0,5:0,5, მიქაძე — ჩიქოვანი 1:0.

XIII ტური. მიქაძე — ზაიჩიკი 0,5:0,5, ვლადიმიროვი — ბუხმანი 0:1, ბოკუჩავა — მუხინი 0,5:0,5, კატალიმოვი — ვოორემაა 0,5:0,5, ცეიტლინი — ტუზოვსკი 0,5:0,5, როზენბერგი — ჯანოევი 0,5:0,5, ბერაძე — ჩიქოვანი 0:1.

საღამოს აფხაზეთის მედიცინის მუშაკთა სახლში მემორიალის შედეგები საზეიმოდ შეჯამდა.

**რ. ჭაჭიაშვილი,**
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

## ჩემპიონატი უჩემპიონოდ

უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკე ქალები კვლავ შეიკრიბნენ თბილისში — დღეს ჭადრაკის სასახლეში დაიწყება სსრ კავშირის XXXIV ჩემპიონატის ფინალი.

შეჯიბრება, ცხადია, საყოველთაო ყურადღებას მიიპყრობს, თუმცა მასში ვერ მონაწილეობენ უძლიერესთა შორის უძლიერესნი — ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა, რომლებიც შორეულ კოლუმბიაში ქალთა ოლიმპიადაში საბჭოთა ჭადრაკის ღირსებას იცავენ. მაინც უეჭველსაწყვეტია, რომ ნ. გაფრინდაშვილმა უბრძოლველად უნდა დათმოს სსრ კავშირის ჩემპიონის კვერთხი.

თბილისში სათამაშოდ ჩამოვიდნენ სახელგანთქმული მოჭადრაკეები, რომელთა უმრავლესობამ ფინალის საგზური შესარჩევ ტურნირებში მოიპოვა. ეს, ძირითადად, ახალგაზრდები არიან, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები — რესპუბლიკის ჩემპიონი, ოსტატი ც. კობაიძე, ოსტატი თ. ხუგაშვილი და საერთაშორისო ოსტატი, 13 წლის მ. ჩიბურდანიძე.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენი თანამემამულეებისგან წარმატებებს მოველით. კობაიძე და ხუგაშვილი ბოლო წლებში საგრძნობლად დაოსტატდნენ. ორივემ ჩინებულად ითამაშა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში. ხუგაშვილმა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლითაც გაგვახარა, როგორც საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებული „ბურევესტნიკის" ნაკრების წევრმა. ჩიბურდანიძეც შესამჩნევად დაწინაურდა. XXXIII საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ იგი სპორტის ოსტატი გახდა, ფიდე-მ კი საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა. ეს დიდი აღიარებაცაა და მომავალი წარმატებების ავანსიც.

ის, რომ ტურნირში წინა ჩემპიონატის გმირები — საერთაშორისო ოსტატები მ. შული (ლვოვი), ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) და მოსკოვის ჩემპიონი ე. რუბცოვა-ფატალიბეკოვა მონაწილეობენ, მძაფრი პაექრობის უტყუარი საწინდარია. საუცხოო გუნებაზეა კოზლოვსკაია, რომელმაც ამას წინათ რუსეთის ფედერაციის ქალთა საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზი მოიხვეჭა. შული მზადაა დაიბრუნოს, ნ. გაფრინდაშვილთან ბრძოლაში დაკარგული სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული, საპაექროდ მისი მოსკოველი კოლეგებიც მზად არიან.

სარბიელზე ბევრ ახალგაზრდა, ნიჭიერ ოსტატს ვიხილავთ. მათი მონაწილეობა მუდამ სენსაციებისა და სიურპრიზების წყაროა. მაგრამ სპორტულ ქიდილშიც გასათვალისწინებელია მათი შესაძლებლობები. ამ ახალგაზრდების დასს მიეკუთვნებიან, მაგალითად, ა. გრინფელდი (კალინინგრადი), რომელმაც ოსტატის წოდება წლეულს თბილისში მოიპოვა და ნ. ალიოშინა, რომელიც სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის ოქროს მედალოსანია (ისიც „ბურევესტნიკის" წევრი გახლავთ).

თანამედროვე მოჭადრაკე ქალთა შემოქმედება იმდენად მიმზიდველია, რომ გულგრილად არავის ტოვებს. იმედია, რომ ისინი თბილისშიც გაგვახარებენ ღრმა პოზიციური პარტიებით, გონებამახვილური კომბინაციებით, ენდშპილის მომხიბლავი თამაშით, გამარჯვებისადმი დაუღალავი ლტოლვით.

**თ. გიორგაძე.**

## მწვავე დუელი ფინიშზე

ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, XIII ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ერთობ დაიძაბა. ერთპიროვნული ლიდერის ა. ვოლკოვას (ვოროშილოვგრადი) გასწრების ან დაწევის თეორიული შანსი მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონს პ. სამოხინას (ოდესა) გააჩნდა. მას 10 ქულა ჰქონდა, ვოლკოვას კი 10,5. მაგრამ ვოლკოვამ დიდი აღმავლობით ითამაშა ლ. ანდრიევსკაიას (ფრუნზე) წინააღმდეგ, ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა და ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

სამოხინას მეტოქე ლ. გავორონკოვა (ლენინგრადი) თავად იყო საპრიზო ადგილის რეალური პრეტენდენტი. მას 9 ქულა ჰქონდა, ამიტომაც შარშანდელ ჩემპიონს ტოლი არ დაუდო და დაამარცხა კიდეც. ეს იყო სამოხინას პირველი წაგება ზედიზედ რვა მოგების შემდეგ.

აი, საბოლოო შედეგები:

I. ვოლკოვა — 11,5, II-III. გავორონკოვა, სამოხინა, — 10-10, IV. ე. გრიგორიევა (ლენინგრადი) — 9,5, V. ვ. ვოლიუვაჩი (ხარკოვი) — 8, VI-VII. ნ. ლოვინოვა (მინსკი), ა. როსინსკაია (მოსკოვი) — 7,5-7,5, VIII-IX. ვ. გრებერი (ალმა-ათა), ს. პაშკევიჩი (ლვოვი) — 6,5-6,5, X. ლ. ხრულიოვა (ოდესა) — 4,5, XI. ანდრიევსკაია — 4, XII. ფ. ნიგმატზიანოვა (ყაზანი) — 2,5, XIII. თ. ილინა (კიშინიოვი) — 2, XIV. რ. ტერმინოვა (თბილისი) — 1.

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა. გამარჯვებულებს დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ.

**თ. ნინოშვილი.**

## არც ერთი დღე უმედლოდ

ტუნი, 24 სექტემბერი. შვეიცარიის ამ ქალაქში გრძელდება ტყვიის მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის სპორტსმენებმა მორიგი წარმატებები მოიპოვეს. გუშინწინ „გაქცეულ ტახზე" სროლაში ვ. პოსტოიანოვმა და კოლუმბიელმა ბელეგროტმა 600-დან 577-577 ქულა მოაგროვეს და 4 ქულით გააუმჯობესეს ოდესელი ი. ჟელეზნიაკის შარშანწინდელი მსოფლიო რეკორდი. ოქროს მედალი მიეკუთვნა კოლუმბიელს, რომელსაც ბოლო სერიაში უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. მცირეკალიბრიანი შაშხანის ჩოქელა სროლაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა მინსკის არმიელი ჭ. პარხიმოვიჩი — 394.

გუშინ ხუთ ხილულზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ტორშინი (მოსკოვის ოლქი), ი. ალიოხინი (მოსკოვი), ა. კუზმინი (რიგა) და მ. ზიუბკო (ჩელიაბინსკი) 2361 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 2359, III — რუმინეთის კოლექტივი — 2357.

პირად ტურნირში იმარჯვა ა. რედკემ — 594. ასეთივე შედეგით ვერცხლი მიიღო მ. ვაისენბერგერმა (ორივე — გფრ), III ადგილზეა ტორშინი, რომელსაც ბრინჯაოს მედლისთვის ოთხი დამატებითი სერიის ჩატარება დასჭირდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრები ლიდერობს. მის ანგარიშზეა 18 ოქროს, 4-4 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. აშშ-ს სპორტსმენებს, რომლებიც II ადგილზე არიან, 6 ოქროს, 7 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონები ცურვაში



ლ. სუინა   ი. კუშპელიოვი   ი. ლეკვეიშვილი   ვ. ბურმისტროვი   გ. გოდერძიშვილი   ტ. კოსტირევა   ა. ვეჩხაიზერი   ლ. ხორავა   ი. პოტაპოვა

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ქუთაისი. „განთიადის" საცურაო აუზი. 18-21 სექტემბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ცურვაში.

ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ლ. სუინა — 1.05,8, გ. მეტრეველი (ორივე — აფხაზეთი) — 1.08,4, ნ. გელაძე (თბილისი) — 1.10,3; 200 მ. ი. პოტაპოვა (თბილისი) — 2.28,9, გ. მეტრეველი — 2.30,7, ნ. გეოკჩოღლიანი (თბილისი) — 2.32,7; 400 მ. პოტაპოვა — 5.08,3, ტ. კოსტირევა (ქუთაისი) — 5.09,2, გეოკჩოღლიანი — 5.15,0; 800 მ. პოტაპოვა — 10.39,3, ტ. კოსტირევა — 10.40,8, გეოკჩოღლიანი — 10.49,5. ბრასი. 100 მ. ლ. ხორავა (ქუთაისი) — 1.25,1, ნ. გამჯიაშვილი (თბილისი) — 1.26,6, დ. ვასაძე (ქუთაისი) — 1.28,0. 200 მ. ხორავა — 3.02,1, გამჯიაშვილი (თბილისი) — 3.07,8, ვასაძე — 3.08,1. ბატერფლაი. 100 მ. კოსტირევა — 1.14,3, სუინა — 1.15,3, ლ. იმნაძე (თბილისი) — 1.22,3; 200 მ. იმნაძე — 3.02,0. გულაღმა 100 მ. სუინა — 1.15,9, შ. გოზალიანი — 1.17,9, ლ. ნათლიაშვილი (ორივე — თბილისი) — 1.19,0; 200 მ. სუინა — 2.43,3, ი. პროსკურინა (თბილისი) — 2.50,7, დ. ზერმანი (აჭარა) — 2.51,3. კომპლექსური ცურვა. 200 მ. სუინა — 2.47,7, ტ. ონუფრენჩუკი (აჭარა) — 2,55,8, ე. შაგიდულოვა (თბილისი) — 2.56,2; 400 მ. სუინა — 6,02,8, ნ. ბახტაძე (თბილისი) — 6.15,6, ონუფრენჩუკი — 6,15,7. ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4×100 მ. აფხაზეთი — 4.37,8, თბილისი — 4.42,9, ქუთაისი — 4.44,3; კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ. თბილისი — 5.11,9, ქუთაისი — 5,12,7, აფხაზეთი — 5.20,3.

ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ა. ვეჩხაიზერი — 0.58,9, ა. ბავინი (ორივე — თბილისი) — 0,58,9, ა. გიორგაძე (ქუთაისი) — 0.59,1; 200 მ. ი. კუშპელიოვი (თბილისი) — 2.08,7, გიორგაძე — 2.11,0, ა. იორდანიშვილი (თბილისი) 2.11,0; 400 მ. კუშპელიოვი — 4.33,3, იორდანიშვილი (თბილისი) — 4.38,0, დ. ასათიანი (ქუთაისი) — 4.39,3; 1500 მ. კუშპელიოვი — 18,23,0, ვ. საი (თბილისი) — 18.32,4, ასათიანი — 18.41,7. ბრასი. 100 მ. ი. ლეკვეიშვილი — 1.14,4, ს. ნედელკო (ორივე — თბილისი) — 1.14,8, ს. შირინიანი (აფხაზეთი) — 1.15,4; 200 მ. ლეკვეიშვილი — 2.45,7, ნედელკო — 2.47,1, შირინიანი — 2.48,3. ბატერფლაი. 100 მ. გ. გოდერძიშვილი — 1.03,1, გ. ნიკოლაიშვილი — 1.05,3, ა. რეზნიკოვი (ყველა — თბილისი) — 1,05,7; 200 მ. ვ. ბურმისტროვი (აჭარა) — 2.26,9, ნიკოლაიშვილი — 2.28,7, კ. თევდორაძე (აჭარა) — 2.36,6. გულაღმა. 100 მ. ვეჩხაიზერი — 1.05,5, ი. ომელჩენკო (აჭარა) — 1.05,9, ო. კოჟედუბი (ქუთაისი) — 1.09,7; 200 მ. ვეჩხაიზერი — 2.25,1, საი — 2.26,3, ომელჩენკო — 2.27,0. კომპლექსური ცურვა. 200 მ. ბურმისტროვი — 2.25,9, გოდერძიშვილი — 2.26,3, ს. მაკაროვი (თბილისი) — 2.30,3; 400 მ. ბურმისტროვი — 5.15,4, კუშპელიოვი — 5.15,4, საი — 5.20,0. ესტაფეტა. თავისუფალი სტილით 4×100 მ. თბილისი — 4.02,0, ქუთაისი — 4.08,0, აფხაზეთი — 4.18,1; თავისუფალი სტილით 4×200 მ. თბილისი — 9.04,2, ქუთაისი — 9,06,8, აჭარა — 9.41,7; კომბინირებული 4×100 მ. თბილისი — 4.31,1, აჭარა — 4,38,0, ქუთაისი — 4.40,8.

გუნდური. თბილისი — 1517 ქულა, ქუთაისი — 576, აფხაზეთი — 450, აჭარა — 443, ტყიბული — 76, ჭიათურა — 16.

# სამწყობრო მეცადინეობა დიდი საქმეა!

ახალგაზრდა თაობის ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება ძირითადად სკოლაში ხდება. მეცადინეობა მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი პროგრამით, რომელიც მუდ კომპლექსის ნორმატივების შესაბამისადაა შედგენილი.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი რთული პედაგოგიური პროცესია. მის სწორად წარმართვაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიარულის, რბენის, ბრუნვისა და სხვა გადაწყობის მთელ რიგ ნაირსახეობათა გამოყენებას. მათი უმთავრესი დანიშნულებაა მომეცადინეთა მზადება გაკვეთილის ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად. გაკვეთილის ბოლოსაც იგივე ვარჯიშები გამოიყენება, ოღონდ ამჯერად ეს ვარჯიშები ხელს უწყობენ მომეცადინეთა ორგანიზმის შედარებით მოსვენებულ მდგომარეობაში მოყვანას. რა თქმა უნდა, ამ ვარჯიშების გამოყენებას საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მათი სწორი ორგანიზაცია სრულყოფს მომეცადინეთა მოძრაობის ტექნიკას, ზნეობრივ-ესთეტიკურ ქცევას. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა შ. სუხიშვილის წერილი „ეს საყურადღებოა!" („ლელო", 1974 წ. 21. VIII).

„სკოლაში, განსაკუთრებით დაბალ კლასებში, გამაჯანსაღებელი ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სწორი სიარულის, რბენის, ბრუნვის, ხტომისა და მოძრაობათა სხვა ნაირსახეობათა კარგად დაუფლებას. ადამიანი ასეთი ხასიათის მოძრაობა-მოქმედებასთან მუდმივ კავშირშია..."

შ. სუხიშვილი სწორად შენიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ნაკლები ყურადღება ექცევა მეცადინეობის საგანმანათლებლო მხარეს. მართლაც, განა მხოლოდ მოთელვით შეიძლება გადაწყდეს გაკვეთილის მოსამზადებელი ნაწილის ამოცანები? თუ ვარჯიშების ზუსტ შესრულებასა და მომეცადინეთა აღზრდას ერთდროულად ყურადღება არ მიექცა, მაშინ ეს ვარჯიშები მხოლოდ ბიოლოგიურ გამაღიზიანებლად გადაიქცევა.

სამწყობრო ვარჯიშებს დიდი მნიშვნელობა აქვს მომეცადინეთა ფიზიკურ და ფსიქიკურ განწყობათა შესაქმნელად. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მათი დანიშნულება. სამწყობრო ვარჯიშები ხელს უწყობს ადამიანს მოძრაობა-მოქმედებათა კულტურის აღზრდაში. ადამიანმა უნდა იცოდეს სწორი, მსუბუქი და მოხდენილი სიარული, რბენა, ბრუნვა, მოულოდნელ სიტუაციაში წონასწორობის შენარჩუნება და დაცემის შემთხვევაში ტრავმის თავიდან აცილება.

ამ საკითხებს გარკვეული ყურადღება ექცევა ფიზკულტურის ინსტიტუტში. მათ სათანადოდ განმარტავენ მაპროფილებელი დისციპლინების თეორიული ნაწილის გადაცემისას, განსაკუთრებით გაკვეთილის შინაარსის განხილვისას. პრაქტიკულად კი მომეცადინენი მათ ეუფლებიან ეგრეთ წოდებულ მეთოდურ მეცადინეობებზე, პირველ ყოვლისა ტანვარჯიშში, აგრეთვე, მძლეოსნობაში, თამაშებში და სხვა სპორტულ დისციპლინებში. მათი შემდგომი სრულფასოვანი ათვისება-განმტკიცება სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკის დროს ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ამ საკითხებს პრაქტიკულ მეცადინეობებზე ნაკლები დრო ეთმობა. ნაწილობრივ ამაში „დამნაშავეა" ისეთი სახეობები, რომელთა სპეციფიკა არ მოითხოვს სამწყობრო ვარჯიშისადმი ტანვარჯიშის მსგავს ყურადღებას. მაგალითად, მძლეოსნობაში ნაკლებად გამოიყენება საწესდებო ძახილები. სამწუხაროდ, ხშირად მასწავლებლები არ მოითხოვენ ძახილების შესრულების სიზუსტეს. ძახილები ზუსტად უნდა სრულდებოდეს როგორც საერთო ფიზიკური მომზადების, ასევე სპორტის სახეობათა ყველა გაკვეთილზე. სახეობის სპეციფიკა არ უნდა გამორიცხავდეს გაკვეთილის ორგანიზაციის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითს მნიშვნელობას.

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მომეცადინეთა დატვირთვის თანდათანობითი შემცირება და მათი ორგანიზმის საწყის მდგომარეობამდე დაყვანა. ამისთვის გამოიყენება ვარჯიშები მოდუნებაზე, დაფერთხვაზე და სხვ. (ამ შემთხვევაში მომეცადინეთა ფსიქიკურ მხარეს არ ვეხებით).

გაკვეთილის დამთავრებას უნდა უძღოდეს სამწყობრო ხასიათის ვარჯიშები, რამდენადაც მას თვით გაკვეთილის წარმართვის მეთოდიკა ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღძრული საკითხები სათანადოდაა ასახული ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო საგნებსა და პრაქტიკულ მუშაობაში, მაინც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ინსტიტუტის სასწავლო-აღმზრდელობითსა და მეთოდურ მუშაობაში ამ მხარეებს მეტი ყურადღება მიექცეს. ეს საქმის ერთი ნაწილია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზაღზრდის მასწავლებლის დამოკიდებულებას გაკვეთილის მომზადება-ჩატარებისადმი. თუ მასწავლებელი სისტემატურად არ მუშაობს თავის თავზე, არ განაზოგადებს გამოცდილებას, შემოქმედებითად არ უდგება გაკვეთილის მომზადებას და არ შეეცდება ერთმანეთს დაუკავშიროს გაკვეთილის ზოგადსააღმზრდელო-საგანმანათლებლო და სპეციფიკური მხარეები, მაშინ მისი გაკვეთილი მდარე ხარისხისა იქნება. მაღალხარისხოვანი გაკვეთილის ერთ-ერთი მაჩვენებელია პრაქტიკაში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი წვრილმანების სრულფასოვანი მოგვარება.

ფიზაღზრდის მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა ყოველკვირეული „სამეთაურო სწავლება". ეს „სწავლება" უფრო ორგანიზებულად თბილისში ტარდება, მაშინ, როცა პერიფერიების მასწავლებლებს უფრო მეტად სჭირდებათ იგი. ამ თავყრილობებზე თითქმის არასოდეს იწვევენ ჩვენი ინსტიტუტის მასწავლებლებს, რომელთაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლიათ კოლეგებისთვის მეთოდიკაში სიახლეთა გაცნობით. თავადაც სკოლაში მომუშავე მასწავლებელთა გამოცდილებას ეზიარებიან.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფიზაღზრდის ზოგიერთი კვალიფიციური მასწავლებელიც ყოველი გაკვეთილისთვის არ ემზადება. ამიტომაც ასეთი გაკვეთილები სტანდარტულია. ჯერ კიდევ ხშირია ერთი და იგივე შინაარსისა და მეთოდიკით გაკვეთილების ჩატარება სხვადასხვა კონტინგენტთან. „სამეთაურო სწავლებამ" სწორედ ამ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, სათანადო ორგანოებმა კი საჭიროა გააძლიერონ კვალიფიციური კონტროლი, მეთოდური რჩევა-დარიგებები მისცენ. ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

რაც შეეხება ამ საკითხებზე ქართულ ენაზე მეთოდური ლიტერატურის არსებობას, მართალია ცოტა, მაგრამ მაინც არის სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში (პედაგოგიკურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალური კრებულები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", გაზეთი „ლელო" და სხვ.) მასალები, აგრეთვე, გამოცემულია წიგნები — გ. მერკვილაძის „ფიზიკური აღზრდის მეთოდიკის საკითხები დაწყებითს სკოლაში" (1955 წ.), ა. ორახელაშვილის „ფიზიკური კულტურა და სპორტი სკოლაში" (1961 წ.), დ. მაჭავარიანის „ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა" (1969 წ.), დ. ჟვანიას, ა. ორახელაშვილისა და გ. გოგნიაშვილის „პირველკლასელთა ფიზიკური აღზრდა" და „მეორეკლასელთა ფიზიკური აღზრდა" (1973 წ.). ამ წიგნებში თუმცა ზოგი მეთოდური დებულება რამდენადმე მოძველდა, მაგრამ ზოგი დღესაც ძალაშია. დიდი ხანია მომწიფდა ქართულ ენაზე ფიზიკური აღზრდის სასკოლო მეთოდიკის სახელმძღვანელოს გამოცემის საკითხი.

ფიზაღზრდის ყველა მასწავლებელი უნდა იცნობდეს აქ აღძრულ და ფიზიკური აღზრდის მეთოდიკის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს და პრაქტიკაშიც იყენებდეს მათ.

ვ. ელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.
ზ. მამარდაშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

### რაგბი

## ისევ წაგება

გუშინწინ გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის ერთი შეხვედრა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ლენინგრადის „ბურევესტნიკი" თბილისის „ლოკომოტივს" მასპინძლობდა. თბილისელები ისევ დამარცხდნენ 9:13.



ალმა-ათა. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე ახალი სეზონი გაიხსნა. ტრადიციისამებრ გაიმართა საციგურაო სპორტის მოყვარულთა შეჯიბრებები. დღესასწაულის დასასრულს მოეწყო ყაზახეთის დედაქალაქის მცხოვრებთა და მრავალრიცხოვან სტუმართა მასობრივი სეირნობა ყინულზე.

სურათზე: მედეოს საციგურაო მასობრივი სეირნობის დროს.

გ. პოპოვის ფოტო (საქდესი).

# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### II ლიგა III ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ (გორი) | 31 | 19 | 5 | 7 | 72—32 | 43 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 31 | 16 | 11 | 4 | 43—16 | 43 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 30 | 17 | 9 | 4 | 45—19 | 43 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 31 | 16 | 9 | 6 | 48—27 | 41 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 31 | 16 | 7 | 8 | 46—26 | 39 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 32 | 16 | 6 | 10 | 45—31 | 38 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 31 | 14 | 8 | 9 | 42—29 | 36 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 31 | 13 | 8 | 10 | 38—41 | 34 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 32 | 14 | 5 | 13 | 42—42 | 33 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 32 | 12 | 8 | 12 | 48—34 | 32 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 31 | 14 | 4 | 13 | 47—39 | 32 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 32 | 7 | 15 | 10 | 37—40 | 29 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 32 | 11 | 6 | 15 | 33—39 | 28 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 31 | 11 | 6 | 14 | 39—50 | 28 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 31 | 8 | 11 | 12 | 36—49 | 27 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 32 | 10 | 5 | 17 | 32—57 | 25 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 32 | 9 | 6 | 17 | 26—46 | 24 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 31 | 10 | 3 | 18 | 32—48 | 23 |
| „ფოლადი“ (ხუმგაითი) | 31 | 5 | 4 | 22 | 19—60 | 14 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 31 | 3 | 8 | 20 | 18—63 | 14 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „განთიადი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 4:3. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

● „დინამო“ (სოხუმი) — „სულორი“ (ვანი) 4:1. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი).

ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა, როცა დინამოელებმა საფუძვლიანად იგდეს ხელთ უპირატესობა. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ხარაბაძემ (2), ბოხაშვილმა და კოსტავამ. მასპინძელთა კარი პენალტის მეოხებით აიღო შ. ლორთქიფანიძემ.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

მატჩის დასასრულს 12 წუთი აკლდა, ანგარიში კი არ ჩანდა. ამ პატარა დროში ფსუტურმა, ტლაშაძემ და გელდიაშვილმა ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს „კოლხეთის“ კარში.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს ტერიტორიული უპირატესობა და თელაველთა კარის აღების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა დაკარგეს. 86-ე წუთზე „კახეთის“ ერთ-ერთი კონტრშეტევისას ჩაველაშვილმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ჩხვირკიას მიერ 33-ე წუთზე გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ორმხრივი იერიშებისა და საკმაო რაოდენობის სახიფათო მომენტების შემდეგ ცხაკაიელმა ლ. დარასელიამ 70-ე წუთზე ზუსტი დარტყმით მოათავსა ბურთი მეტოქის კარში.

● „ივერია“ (ხაშური) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

თანაბარი ანგარიშისას, როცა თამაშის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, ხაშურელმა ლომიძემ პენალტი ვერ გამოიყენა.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 5:0. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

მაღაროელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც დამთავრდა მაღრაძის (2), მესხაძის, თაბაგარისა და კაციტაძის 5 „მშრალი“ გოლით.

● „ვარძია“ (ასპინძა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი გ. ჭაკნელიძე (ზესტაფონი).

გოლი 65-ე წუთზე გაიტანა ფოცხვერაშვილმა.

აღსანიშნავია ქობულეთელ ფეხბურთელთა ყოვლად უმსგავსო საქციელი, რისთვისაც მინდვრიდან გაძევებულია რ. ბალაძე და გაფრთხილებული ვახ. კვიტაიშვილი.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ყინწვისი“ (ქარელი) — „განთიადი“ (კასპი) 1:4, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „სამცხე“ (აწყური) 6.1. ადიგენის „განახლებას“ მოგება ჩაეთვალა სიღნაღის „ცისკართან“.

#### IV ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „მზიური“ (გალი) — „განთიადი“ (აბაშა) 3:2.

#### ზონალური შეჯიბრება

„სპარტაკი“ (მარნეული) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:2. საგარეჯოს „პოლიტექნიკოსს“ მოგება ჩაეთვალა თიანეთის „იორთან“, ხოლო თელავის „შალაურს“ — სართიჭალის „იორთან“.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღარ.“ | 27 | 17 | 4 | 6 | 53—17 | 38 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| ასკ | 27 | 15 | 6 | 6 | 58—34 | 36 |
| „დინამო“ | 26 | 14 | 6 | 6 | 52—26 | 34 |
| „სალხინო“ | 26 | 11 | 11 | 4 | 41—23 | 33 |
| „ეგრისი“ | 27 | 13 | 5 | 9 | 41—30 | 31 |
| „ამირანი“ | 26 | 12 | 5 | 9 | 31—29 | 29 |
| ფიზკ. ინსტ. | 23 | 11 | 6 | 6 | 44—34 | 28 |
| „ლოკომოტ.“ | 25 | 10 | 8 | 7 | 37—31 | 28 |
| „კახეთი“ | 27 | 11 | 6 | 10 | 42—43 | 28 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფ.) | 26 | 10 | 7 | 9 | 41—37 | 27 |
| „შუქურა“ | 27 | 9 | 7 | 11 | 34—30 | 25 |
| „ქართლი“ | 26 | 10 | 5 | 11 | 44—42 | 25 |
| „მეშახტე“ | 27 | 10 | 5 | 12 | 35—47 | 25 |
| „კოლხეთი“ | 26 | 7 | 10 | 9 | 33—37 | 24 |
| „განთიადი“ | 27 | 6 | 7 | 14 | 32—50 | 19 |
| „ვარძია“ | 27 | 7 | 3 | 17 | 26—47 | 17 |
| „სულორი“ | 27 | 5 | 5 | 17 | 25—76 | 15 |
| „ივერია“ | 27 | 5 | 4 | 18 | 26—59 | 14 |
| „სპარტაკი“ | 27 | 4 | 4 | 19 | 29—66 | 12 |

## „ლელოს“ პრიზზე

დასასრულს უახლოვდება წინასწარი მატჩები გაზეთ „ლელოს“ პრიზზე მინი-ფეხბურთში. მათს დაძაბულობაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ სამი დღის შემდეგ 20 გუნდიდან მხოლოდ ექვსი არ დამარცხებულა.

გაცნობებთ მეორე და მესამე დღეებში გამართული შეხვედრების შედეგებს: „სალხინო“ — „შაშვი“ 7:2, „დიდუბე“ — ტელესტუდია 5:2, „ჭაშნიკი“ — „იბერია“ 1.6, „სალხინო — ტელესტუდია 3:1, „ნაკადული“ — „იბერია“ 1:1, სვანეთის უბანი — „დარიალი“ 6:0, მეღვინეობა-მებაღეობა-მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (მმმსსი) — „საბურთალო“ 3:7, „ვერა“ — „ვაკე“ 2:1, „საქართველო“ — ტელესტუდია 2:0.

სამი დღის შემდეგ I ჯგუფში ლიდერობს „საბურთალო“ — 6 ქულა, II ადგილზეა მმმსსი — 4. II ჯგუფში „ვაკეს“ 6 ქულა აქვს, „ვერას“ — 4. III ჯგუფში „საქართველოს“ და „სალხინოს“ 6-6 ქულა აქვთ. IV ჯგუფში „იბერიას“ 6 ქულა აქვს (ჯგუფში შეხვედრები დაამთავრა). II ადგილზეა „ნაკადული“ — 5 ქულა.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### გფრ

გათამაშების ლიდერმა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ IV ტურში ქულა დაკარგა: ფრედ ითამაშა თბილისელთათვის კარგად ცნობილ დასავლეთ ბერლინის „ჰერტასთან“ — 1:1. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ჰამბურგელთა პირველი ფრე იყო.

მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყნის გათამაშების სრული ცხრილის გაცნობა:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ | 4 | 8:3 | 7 |
| „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) | 4 | 11:4 | 6 |
| „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) | 4 | 11:5 | 6 |
| „დუისბურგი“ | 4 | 11:5 | 6 |
| „ბაიერნი“ (მიუნჰენი) | 4 | 16:11 | 6 |
| „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) | 4 | 9:5 | 5 |
| „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) | 4 | 8:6 | 5 |
| „ბოხუმი“ | 4 | 6:5 | 5 |
| „კიკერსი“ (ოფენბახი) | 4 | 10:6 | 4 |
| „ჰერტა“ (დასავლეთ ბერლინი) | 4 | 9:7 | 4 |
| „შალკე 04“ (გელზენკირჰენი) | 4 | 6:5 | 4 |
| „როტ-ვაისი“ (ესენი) | 4 | 4:5 | 4 |
| „კაიზერსლაუტერნი“ | 4 | 5:8 | 2 |
| „ტენის ბორუსია“ (დასავლეთ ბერლინი) | 4 | 6:12 | 2 |
| „შტუტგარტი“ | 4 | 3:9 | 2 |
| „ვერდერი“ (ბრემენი) | 4 | 3:12 | 2 |
| „კიოლნი“ | 4 | 7:12 | 1 |
| „ვუპერტალერ შპორტფერაინი“ | 4 | 2:9 | 1 |

## „დიდი ტომი“ საპყრობილეში

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს ტომი ლაუტონს საპყრობილე ემუქრებოდა სულ პაწაწინა ვალის — 10 გირვანქა სტერლინგის გადაუხდელობის გამო, და აი, ნოტინგემის სასამართლომ გაარჩია ლაუტონის საქმე და „დიდი ტომის“ — წარსულში სახელგანთქმული ცენტრალური თავდამსხმელის ბედი ერთობ „იოლად“ გადაწყვიტა: ლაუტონს ციხეში ამოაყოფინა თავი.

ინგლისელ ჟურნალისტთან საუბარში ლაუტონმა განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს თვითმკვლელობაზე.

## 30 წლის ნაკრები

ბულგარეთის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა შეადგინეს ეროვნული ნაკრები ბოლო 30 წლის მანძილზე.

აი, მისი შემადგენლობა: მეკარე ნაიდენოვი (მან მიიღო 44 ხმა), დაცვა — შალამანოვი (26 ხმა), მანოლოვი (40), პენევი (33), დიმიტროვი (20), ნახევარდაცვა — ბოჟკოვი (40), ბონევი (40), იაკიმოვი (27), თავდასხმა — დიევი (26), ასპარუხოვი (44) და კოლევი (44).

დღევანდელი ნაკრებიდან იდეალურ გუნდში მხოლოდ ბონევი მოხვდა.

## არგენტინა ემზადება

მსოფლიოში აღიარებული საფეხბურთო ქვეყნის არგენტინისთვის გასული, X ჩემპიონატი მეორე წრეში დამთავრდა, თანაც, ამ ქვეყნის ნაკრებმა ტურნირის განმავლობაში (მან ექვსი შეხვედრა გამართა) მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, ისიც ჰაიტის გუნდთან. ბოლო ჩემპიონატის ასე უსახელოდ და საკმაოდ უფერული შედეგებით დასრულების მიუხედავად, არგენტინულ ფეხბურთში განსაკუთრებული აღმავლობაა. საქმე ისაა, რომ არგენტინა უკვე ემზადება მომავალი, 1978 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძლობისთვის.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დროულად წამოიწყეს მრავალმხრივი, ფართო საპროპაგანდო მოღვაწეობა. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ივნისსა და ივლისში X მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოების მოსაპოვებლად იბრძოდნენ, წარმოადგინეს „საკუთარი“, 1978 წლის პირველობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ბროშურების, პლაკატების, პროსპექტებისა და სამახსოვრო ნიშნების უხვი ასორტიმენტი.

... XI ჩემპიონატის ცენტრი, რა თქმა უნდა, არგენტინის დედაქალაქი ბუენოს-აირესია, სადაც მოთავსებულია საორგანიზაციო კომიტეტის ცენტრი. უსახსრობის გამო აქ ახალი სტადიონის აშენების წინადადება უარყვეს. სამაგიეროდ, სამხრეთ ამერიკის ამ ვეებერთელა და ულამაზეს ქალაქში დაგეგმილია ორი სტადიონის რეკონსტრუქცია. ერთია კლუბ ველეს სარსფილდის სტადიონი „ესტადიო ამალფიტანი“ (იგი დაიტევს 98 ათას მაყურებელს), ხოლო მეორე — „ესტადიო მონუმენტალი“ (97 ათასი მაყურებელი).

ცნობილია დანარჩენი სამი ქალაქიც, რომლებიც 1978 წლის ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებენ. ბუენოს-აირესიდან 300 კილომეტრით დაშორებული როსარიოს განკარგულებაშია ორი ობიექტი, კლუბების როსარიო ცენტრალისა და ნოელს ფორუმის სტადიონები. აქვე ვარაუდობენ დამატებით კიდევ ერთი სტადიონის აშენებას. სულ მალე კორიენტესში (დედაქალაქიდან 1000 კილომეტრითაა დაშორებული) შეუდგებიან ახალი სტადიონის აშენებასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ სამუშაოებს. ამ ნაგებობის ტრიბუნები ნავარაუდევია 42 ათასი მაყურებლისთვის. მესამე ქალაქია კორდოვა. იგი ანდის მთებში მდებარეობს და 1000-მდე კილომეტრითაა დაშორებული დედაქალაქს. 75-ათასიანი მაყურებლისთვის განკუთვნილი სტადიონის მშენებლობა აქ შარშან-ვე დაიწყო.

ჩემპიონატის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ზოგიერთი შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მარ დელ პლატაში, მენდოსაში, ტუკუმანში ან სალტაში.

პირველობის ფინანსურ მხარეს ხელმძღვანელობს არგენტინის ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება არგენტინის ფეხბურთის კავშირი. ჩემპიონატის დაწყებამდე 4 წელია და არგენტინელებს მიაჩნიათ, რომ ეს საკმარისი დროა შეჯიბრების უნაკლოდ ჩატარებისთვის მოსამზადებლად.

* * *

სურათზე: მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ბუკლეტი, სამკერდე ნიშანი და სხვა სუვენირები.




## პელეს განცხადება

ბრაზილიის კლუბებმა „პალმეირასმა“ და „სანტოსმა“ მონაწილეობა მიიღეს მინი-ტურნირში, რომელიც ესპანეთის ქალაქ კადიქსში გაიმართა.

წარმატებით ითამაშა „პალმეირასმა“, რომელმაც ფინალში მოუგო „ესპანიოლს“ (ბარსელონა) — 2:1. ბრაზილიელთაგან ბურთები გაიტანეს ლეივინიამ და ლუის პერეირამ.

III ადგილისთვის გამართულ მატჩში „ბარსელონამ“ ანგარიშით 4:1 მოუგო „სანტოსს“.

ტურნირის შემდეგ პელემ, რომელიც „სანტოსის“ შემადგენლობაში თამაშობდა, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს იყო უკანასკნელი ტურნე, რომელშიც იგი მონაწილეობდა როგორც ფეხბურთელი.

# ახლა ლუჟნიკში!

დასასრული

ნადელები... ამასთან ერთად გაზეთმა გამოაქვეყნა ლიაკრუას (კანადის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე უხეში ჰოკეისტის) მოწოდება საბჭოთა ჰოკეისტებთან რაც შეიძლება „მკაცრად და უხეშად" თამაშის შესახებ. „საჭიროა უფრო ხშირად ვცემოთ მათ", — განაცხადა ლიაკრუამ და ამ დროს ალბათ დაავიწყდა, რომ მან შეიძლება ხურდაც მიიღოს.

თუმცა, დავუბრუნდეთ თამაშს.

ვანკუვერში ჰარისმა თავის დაბადების დღეს (ჩვენმა გუნდმა მას სამახსოვრო მედალი გადასცა) უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა. კარში კვლავ ჩივერსმა დაიკავა ადგილი, დაცვაში თამაშობდნენ ტრამბლე — სტეპლტონი, სმითი — შმირი, ლეი — მარტი ჰოუ, თავდასხმის სამეულები კი ასეთი იყო: გ. ჰოუ — ბექსტრემი — მარკ ჰოუ, ჰალი — ლიაკრუა — მაკენზი, ული — ბერნიე — მაჰოვლიჩი, მაკგრეგორი — უოლტონი — ჰენდერსონი.

საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ ტრეტიაკი, ვასილიევი — გუსევი, ლიაპკინი — კუზნეცოვი, ლუტჩენკო — ციგანკოვი, მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი, ლებედევი — შადრინი — იაკუშევი, მალცევი — ანისინი — ბოდუნოვი, ვოლჩკოვი, კლიმოვი.

არბიტრი იყო გ. შეპეკი (პოლონეთი).

მეტოქეთა გუნდების ორ ჰოკეისტს, ვ. პეტროვსა და ბ. ჰალს, რომლებიც მე-16 ნომრით გამოდიოდნენ, ჩვენ ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინათ მეოთხე შეხვედრისთვის.

პეტროვი: ძალიან გვინდოდა ოკეანის გაღმა უკანასკნელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა. თამაში კარგად დავიწყეთ. უკვე მე-4 წუთზე ვასილიევმა ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ გორდი ჰოუმ ისარგებლა ლიაპკინის წამიერი დაბნეულობით და ანგარიში გაქვითა. აი, იგი ვეტერანია — 46 წლისაა, მაგრამ როგორ თამაშობს! პირადად მე აღტაცებული ვარ ამ კაცით.

შემდეგ ჩემი გადაცემიდან შაიბა გაიტანა მიხაილოვმა. ამის მერე ჩვენ დავმშვიდდით, მაგრამ ეს ადრეული იყო. უმალვე დავისაჯეთ. როცა მე-13 წუთზე გუსევი 2 წუთით გააძევეს მოედნიდან, ჰალმა ზუსტად კუთხეში გაგზავნა შაიბა. შესანიშნავი დარტყმა აქვს ჰალს. მოკლე, სწრაფი, ბოლო მომენტამდე მეკარისგან ფარავს შაიბას. ანგარიში გახდა 2:2. პერიოდის დასასრული მასპინძლებისა იყო. ისევ ჰალმა, მაჰოვლიჩმა და კვლავ ჰალმა სამი შაიბა გაიტანეს. ეს განადგურებას ჰგავდა.

შესვენების შემდეგ ჩვენ უფრო მკაცრად ვთამაშობდით დაცვაში, გავზარდეთ შეტევების ტემპი. გოლი, როგორც იტყვიან, ჰაერში ეკიდა. მესამე, ვფიქრობ, გადამწყვეტი შაიბა, იაკუშევმა გაიტანა. მალე მან, სამწუხაროდ, მუხლი დაიშავა და თამაშს გამოეთიშა, მაგრამ ჩვენ მაინც გავართვით თავი მატჩს. იაკუშევი და ჰალი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

ცუდი სამსახური გაუწია მასპინძლებს მაკენზიმ. იგი დაიღალა და... ჩხუბი დაიწყო. ბუნებრივია, იგი გააძევეს. რამდენიმეჯერ კანადელები ოთხნი რჩებოდნენ და დაცვაში ბევრ ძალას ხარჯავდნენ. მაგრამ ანგარიში დიდხანს არ იცვლებოდა. ჩაინც, 57-ე წუთზე, მალცევმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. შემდეგ გუსევის შორეული ტყორცნა სნაიპერული გამოდგა. ამ შეხვედრაში მცველები საერთოდ კარგად გვეხმარებოდნენ თავდასხმაში. აი, დაცვაში უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით ჰალის მიმართ... მატჩის მიწურულს ჩვენ ერთ წუთზე მეტ ხანს კაცი გვაკლდა. კანადელები შეეცადნენ გამარჯვების მოპოვებას, მაგრამ არ გამოუვიდათ. ფრე.

ჰალი: ფიზიკურ მომზადებაში ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით საბჭოთა ჰოკეისტებს. ეს გამოჩნდა მეორე და მესამე პერიოდებში. ჩვენ უფლება არ გვქონდა გაგვეშვა სამი უპასუხო შაიბა.

საბჭოთა ნაკრებში ყველანი ჩინებულად თამაშობდნენ. განსაკუთრებით აღვნიშნავდი იაკუშევს, ტრეტიაკს, ხარლამოვს. პეტროვი მაინცდამაინც არ ჩანს მოედანზე, მაგრამ გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ჩვენ ძალიან გვსურდა კანადაში დასკვნითი მატჩის მოგება, მაგრამ რას იზამ...

მწვრთნელებს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვათ.

ბ. კულაგინი: ნახევარი საქმე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაკეთებულია. მოხარული ვარ, რომ მატჩები ბრძოლით აღსავსე და საინტერესო გამოდგა. ვიმედოვნებ, რომ მოსკოვში ყველა ორთაბრძოლა წარმტაცი იქნება.

ბ. ჰარისი: ჩვენ ორ თვეზე მეტ ხანს ვემზადებოდით. ამჟამად ფილ ესპოზიტო და ბობი ორიც კი ვერ გააძლიერებდნენ ჩვენს გუნდს. შევეცდებით სტუმრად უკეთ ვითამაშოთ, ვიდრე შინ.

26 სექტემბერს საბჭოთა ჰოკეისტები მონრეალიდან მოსკოვს გაფრინდებიან, „ერ-კანადა" საბჭოთა ნაკრებს მაინის ფრანკფურტში ჩაიყვანს. იქიდან კი სპორტსმენები „ლიუფთჰანზით" შერმეტიევოში დაეშვებიან. ყველა სხვა თვითმფრინავზე, რომლებიც ომ დღეებში მოსკოვში მიფრინავენ, ბილეთები იყიდა 2500 კანადელმა ტურისტმა-გულშემატკივარმა.

1, 3, 5 და 6 ოქტომბერს სიცხე იქნება ლუჟნიკის ყინულზე, ტრიბუნებზე კი — ხმაური...

ვ. დვორცოვი,
ი. მირონოვი.
(საკდესის კორ.).



◆ მოსკოვი, 24 სექტემბერი. „მოსკოვი-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის დღევანდელი სხდომა გამოფენის დათვალიერებით დაიწყო. ეს გამოფენა XII ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის არგუმენტების სისწორის ნათელი დემონსტრაციაა. პანო და სტენდები არა მარტო საბჭოთა დედაქალაქის დღევანდელ შესაძლებლობებს გვიჩვენებენ, არამედ ჯერ აუგებელ სპორტულ კომპლექსებსაც. სწორედ ამ გამოფენას გულდასმით გაეცნობიან სოკ-ის წევრები, სანამ 23 ოქტომბერს ვენაში XII ოლიმპიადის ჩატარების ადგილის საკითხს გადაწყვეტენ საბოლოოდ.

## ფეხბურთს თამაშობენ... სპილოები



ტაილანდი. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში სპილო ძველთაგანვე ... მოწიწებით და პატივისცემით ... ზოოპარკის ექსპონატი კი არ არის, არამედ ადამიანის შეუცვლელი თანაშემწე და დაუღალავი მშრომელი. გაზეთში გამოქვეყნებული სურათი კი იმას ამტკიცებს, რომ სპილო საუკეთესო სპორტსმენიცაა. ფოტოზე აღბეჭდილი საფეხბურთო მატჩი ტხონბურიში ჩატარდა. აბა, სცადე და გაიტანე ბურთი კარში, რომელსაც მეკარეთა ასეთი წყვილი იცავს!

აპ—საკდესის ფოტო.

## მედლების კიდევ ორი კომპლექტი

დღეს თბილისის ველოტრეკზე იწყება სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლებში. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ველოსიპედისტები. სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ ნახონ სახელმოხვეჭილ ფავორიტთა გამოსვლები.

წლევანდელი ჩემპიონატი სატრეკო ველოსპორტში წინა წლებისგან განსხვავებით შესამჩნევადაა დანაწევრებული. უკვე გათამაშდა ოქროს მედლები გუნდურ რბოლებსა და გიტში, მოეწყო სპრინტერთა ჩემპიონატის სამივე ტური... ახლა ჯერი მიდგა ინდივიდუალურ (4 კმ-ზე) და ჯგუფურ რბოლებში (100 კმ-ზე) მოასპარეზეებზე. სსრ კავშირის ახალი ჩემპიონების ვინაობა ცნობილი გახდება 27 სექტემბერს, მანამ კი ველოსიპედისტები წინასწარი შეჯიბრებების მთელს სერიას გაივლიან.

ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვების მთავარ ფავორიტად რჩება შარშანდელი ჩემპიონი, ლენინგრადელი ოსტატი ვ. ოსოკინი. ოქროს მედალი შარშან მან დამაჯერებლად მოიგო — საკმაოდ მაღალ შედეგს (4.54,4) მიაღწია. ფავორიტს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ მუდმივი მეტოქეები — უკრაინელი პ. გოლუბნიჩი (შარშან მან ვერცხლის მედალი მიიღო — 4.56,9), ბელორუსიის წარმომადგენელი ვ. ბიკოვი (ბრინჯაოს მედალი — 4.58,0) და კიშინიოველი ვ. პანჩენკო (IV ადგილი).

შეჯიბრების დებულების თანახმად, გადამწყვეტ რბოლაში გამოვლენ ის სპორტსმენები, რომლებიც წინასწარ სერიებში I-XII ადგილებს დაიკავებენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე კარგი შანსი ვ. ივანოვს ჰქონდა. მისი საუკეთესო შედეგი 4.58,0-ის ფარგლებში მერყეობს. მაგრამ ივანოვი ამ ცოტა ხნის წინათ ავად გახდა და ჩემპიონატის წინ არ ჰქონდა ინტენსიური წვრთნის შესაძლებლობა. მერე კი, როცა ვარჯიშზე მთელი დატვირთვით სცადა დისტანციის გავლა, მხოლოდ 5.08,0 აჩვენა. ამ შედეგით პირველ თორმეტ კაცში მოხვედრა, ცხადია, ძნელი იქნება. და მაშინ საქართველოს გუნდი ამ სახეობაში უქულოდ დარჩება.

ჯგუფური რბოლის მონაწილეთა შორის გამარჯვების დიდ შანსებს ასევე შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორები ს. სმირნოვი (ბელორუსია), ვ. გრაჟდანკინი (უზბეკეთი) და ჯ. გალსტიანი (სომხეთი) ინარჩუნებენ. საქართველოს ველოსიპედისტთაგან საუკეთესოს — ვ. ფეტისოვს ბოლო ჩემპიონატში XV ადგილი ჰქონდა. ვ. ივანოვთან ერთად ფეტისოვი წლეულსაც ჩვენი გუნდის ლიდერად ითვლება, მაგრამ შარშანდელი ადგილი რესპუბლიკის ნაკრებს ჩათვლას არ მისცემს, ვინაიდან აქაც, ინდივიდუალური რბოლის მსგავსად, ქულებს მხოლოდ 12 საუკეთესო შედეგი იძლევა.

ც. ფცქიალაძე.

### ბირთვის მკვრელი... ძალოსანი

როგორც წესი, მძლეოსანი მტყორცნელები საწვრთნელი ვარჯიშის დროს ხშირად მიმართავენ შტანგას, ზოგიერთი მათგანი კი ძალოსნურ ფიცარნაგზეც გამოდის, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ აღწევს. ისინი, ვინც წარმატებით გამოდის სპორტის ეგრეთ წოდებულ „დამხმარე" სახეობაში, ერთეულებია. მათს რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში, ამერიკელი ა. ფოიერბახი. აშშ-ს ძალოსანთა ამასწინანდელ პირველობაში მან 155 კგ აიტაცა და 190 კგ აჰკრა. ორჭიდის ჯამში 345 კგ-ის დაგროვებით ფოიერბახი ქვეყნის ჩემპიონი გახდა მძიმე წონის ათლეტთა შორის.

## თბილისელთა ნაცნობი — II ადგილზე

... ძალოსნობის თბილისელ მოყვარულებს ალბათ ახსოვთ ჩვენი დედაქალაქის ცირკში წლევანდელ საკავშირო პირველობაში როსტოველი ნ. კოლესნიკოვის გამარჯვება ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის. როცა დიქტორმა მისი გვარი გამოაცხადა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მორცხვად ავიდა ტანმორჩილი როსტოველი, ეს გამარჯვება პირველმა მიულოცა მისმა მწვრთნელმა, წარსულში სახელოვანმა ძალოსანმა რ. პლიუკფელდერმა. ოქროს მეორე მედალი კოლესნიკოვმა აკვრაში მოიხვეჭა.

და აი, ხუთი თვის შემდეგ კოლესნიკოვმა შორეული ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ძალოსანთა მსოფლიო პირველობაში კვლავ დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. იგი ამჯერადაც უძლიერესი აღმოჩნდა აკვრაში. ხუთი თვის მანძილზე კოლესნიკოვმა აკვრაში 7,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისი შედეგი — 157,5 კგ დაძლია. ახლა მას მსოფლიო რეკორდს 1 კილოგრამი აშორებს. 22 წლის როსტოველმა ორჭიდში 277,5 კგ დააგროვა, რაც მსოფლიო რეკორდის გამეორებაა და საკავშირო მიღწევა. ამ შედეგმა კოლესნიკოვს ვერცხლის მედალი მოუტანა.

მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბულგარელმა გ. ტოდოროვმა — 280 კგ. ეს მსოფლიო რეკორდია.

ორჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გამარჯვებულის თანამემამულემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. ნურიკიანმა, რომელსაც ისეთივე შედეგი ჰქონდა, როგორც კოლესნიკოვს, მაგრამ მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა.

# რა არის სპორტული ანსამბლი?

როცა კალათბურთზე ჩამოვარდება საუბარი, ნუმსით ან უნებლიედ ლაპარაკს ვიწყებთ სროლაზე, ქულებზე, სპორტსმენთა სიმაღლეზე და სხვა ტექნიკურ ატრიბუტებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ნებისმიერი გუნდის იერს. შეჯიბრებათა მრავალგრაფიანი ოქმები მხედველობაში არ იღებენ მოთამაშეთა ხასიათს, იმ წმინდა ადამიანურ დეტალებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ სპორტსმენთაგან შეწყობილ სათამაშო ანსამბლსა და მეგობრულ კოლექტივს ქმნიან.

ყოველივე ზემოთქმული მთლიანად ეხება სსრ კავშირის ქალთა ნაკრებსაც, კუნძულ სარდინიის მოედნებზე ამას წინათ მეთორმეტედ რომ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები. ეს ჩემპიონები მხოლოდ და მხოლოდ ვარსკვლავები როდი არიან. ისინი, ამავე დროს, ყურადღებიანი შვილები (ზოგიერთი კი მზრუნველი დედები), ბეჯითი სტუდენტების ან მოსამსახურეების როლში გამოდიან. მათი ინტერესების სფერო ერთობ დიდია: დაწყებული სერიოზული პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემებით და ახალი მოდებით დამთავრებული.

ლენინგრადელი ა. ოვჩინიკოვას ხელჩანთაში მუდამ ნახავთ წიგნებს. ალბათ ამიტომ ითვლება იგი გუნდში ყველაზე დაკვირვებულ ადამიანად, რომელიც სიტყვას ჰაიჰარად არ იტყვის. მეგობრებს შორის ყველაზე მხიარულია დნეპროპეტროვსკელი რ. კურვიაკოვა, რომელმაც იცის ხუმრობის ფასი და სულ იმას ცდილობს, რომ ირგვლივ მხიარულება სუფევდეს.

ყველაზე პატივცემული ადამიანი, გუნდის კაპიტანი ნ. ზახაროვა — ერთ-ერთი კალათბურთელი ნევისპირელთა ქალაქის ტრიოდან, უკვე 6 წელია ნაკრების საპატიოს იცავს. მისი აგრერიგად მომხიბვლელი პირადი ღირსებები კარგადაა შერწყმული პასუხისმგებლობის გრძნობასთან, რაც ლენინგრადელ მოთამაშეს მწვრთნელის მარჯვენა ხელად აქცევს. უნდა ნახოთ, რანაირი ყურადღებით ისმენს გუნდი ზახაროვას მსჯელობას და მუდამ სამართლიან შეფასებებს.

დებიუტანტებისთვის — სვერდლოვსკელი ო. ბარიშევასა და ნ. შუვაევასთვის, ესოდენ მოწადინებული რომ იყვნენ ევროპის ჩემპიონატში, კაპიტანი უმაღლესი ავტორიტეტის მქონე სპორტსმენია.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობა კონტინენტის ჩემპიონატში მსუბუქი გასეირნება უნდა ყოფილიყო. მართლაც, საბჭოთა სპორტსმენებმა სარდინიაში ყველა შეხვედრა მოიგეს. მაგრამ ამ მოჩვენებითი სიმსუბუქის უკან იმალებოდა საოცრად მძიმე შრომა, თავგანწირული ვარჯიში. თვით რიგელი უ. სემიონოვა, რომელიც თავისი სიმაღლით (იგი 210 სანტიმეტრია) თითქოს კალათბურთისთვისაა გაჩენილი, ვარჯიშის დროს ცდილობდა გაეკეთებინა ყველაფერი, რითაც მეგობრები იყვნენ დაკავებული. სპორტისადმი ერთგულებით გუნდის ყველა წევრი ერთმანეთს ჰგავს.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ ნიშნით შეარჩია ნაკრები უფროსმა მწვრთნელმა ლიდია ალექსეევამ, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა, ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა. ტყუილად კი არ თქვა მან ერთხელ: „მთავარია იპოვნო თანამოაზრენი". ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი.

ი. ხროვოვი.
(საკდესის კორ.).

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის მონაწილე გუნდების — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა ნაკრები კოლექტივების შეხვედრის მომენტი. მარცხნივ თქვენ ხედავთ ნ. შუვაევას, № 13 კი მ. რეპია (აშშ). გაიმარჯვეს (82:44) საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც უნივერსიადის ჩემპიონთა სახელი მოიხვეჭეს.

ნ. ნაუმენკოვის ფოტო (საკდესი).

რედაქტორი მ. ბაკაბაძე

თბილისი სპორტული ვიტრინა

ეპდრაკი. ჰელრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). სსრ კავშირის ქალთა 34-ე ჩემპიონატის ფინალი. 25 სექტემბერი-26 ოქტომბერი. 25 სექტემბერი — I ტური, 26-ში — II, 27-ში — III. დასაწყისი 16 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ № 14.

უე 02835

ეროვნული ბიბლიოთეკა